დანართი 1

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული საკრედიტო სისტემის (ECTS) შემოღებამდე სტუდენტების მიერ გავლილი უმაღლესი განათლების სასწავლო კურსებისთვის კრედიტების მინიჭებას ახდენს ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით. საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული საკითხი შეიძლება განიხილოს კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიამ.

2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული საკრედიტო სისტემის (ECTS) შემოღებამდე სტუდენტების მიერ გავლილი უმაღლესი განათლების სასწავლო კურსებისთვის კრედიტების მინიჭება ხდება პირობითად, შემდეგი სისტემის მიხედვით: თითოეული სასწავლო კურსის საკონტაქტო საათებს ემატება დამოუკიდებელი მუშაობის საათები (საკონტაქტო საათების გამრავლებით შესაბამის კოეფიციენტზე (მაგალითად, 2–ზე ან სხვა ციფრზე) სასწავლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ხოლო საათების მიღებული რაოდენობა იყოფა 25–ზე, ანუ 1 კრედიტის საათების რაოდენობაზე. ხდება აღნიშნული წესით დაანგარიშებული არამთელი კრედიტების დამრგვალება.

3. შეფასების 5 ბალიანი სისტემის 100 ქულიან სისტემაზე კონვერტაცია ხდება შემდეგი პრინციპით:

ფრიადი (5)	91 ქულა	A
კარგი (4)	84 ქულა	B
დამაკმაყოფილებელი (3)	69 ქულა	D

4. ე. წ. არადიფერენცირებულ „ჩათვლას“ ქულა ენიჭება პირობითად: სტუდენტის მიერ ყველა საგანში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკული (მთელ რიცხვამდე დამრგვალებული).